დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

16-0/1
08.06.2016

საქართველო, დუშეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობის სარეგისტრაციო ეროვნული
მმართველობა მომსახურების სააგენტო
22932445 1
08 06 2016 წ
№ 217

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 732

6 ივნისი 2016 წელი

ქ. დუშეთი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მ/წლის მაისის თვეში, ძლიერი წვიმების შედეგად ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანდა სოფლის შიდა გზები და ხევები.

ანანურის, ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამგებლის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში ჩასატარებელი სამუშაოების საკითხი, წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 4260 ლარი. აქედან:

ა) სოფ. პავლეურში ხევზე წყალგამტარი მილის მოწყობა (ფოცხვერაშვილს სახლთან) - 323 ლარი;

ბ) ანანურში ბურდული ნინოს საცხოვრებელი სახლის წინ ჩამოტანილი მასის გატანა - 577 ლარი;

გ) სოფ. ციგწყაროს თავსა და ბოლოში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 3032 ლარი;

დ) სოფ. ციხისძირში ხორნაული ნინოს საცხოვრებელი სახლის წინ ჩამოტანილი მასის გატანა - 328 ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ. ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს გამოყოფილი თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (ე.ჩოხელი) უზრუნველყოს ბრძანების დროულად გაცნობა ამ ბრძანების 2,3 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ.ჩოხელი/

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 646

ქ. დუშეთი

19 მაისი 2016 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით:
   ა) დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ პავლეურში ხევზე წყალგამტარი მილის მოწყობის (ფოცხვერაშვილის სახლთან) შესყიდვა - (სავარაუდო ღირებულებით 300.32 ლარი, დღგ-ჩათვლით).
   ბ) დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ანანურში სტიქიის მიერ ბურდული ნინოს სახლის წინ ჩამოტანილი მასის გატანის სამუშაოების შესყიდვა - (სავარაუდო ღირებულებით 591 ლარი, დღგ-ჩათვლით).
   გ) დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ანანურში სანიაღვრე არხები ცივწყაროს თავსა და ბოლოში (ძველის ამოწმენდა 104 გ.მ ახლის გათხრა - 82გ.მ) შესყიდვა - (სავარაუდო ღირებულებით 3 108 ლარი, დღგ-ჩათვლით).
   დ) დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ციხისძირში სტიქიის მიერ ხორნაული ნინოს სახლის წინ ჩამოტანილი მასის გატანის სამუშაოების შესყიდვა - (სავარაუდო ღირებულებით 336 ლარი, დღგ-ჩათვლით).
2. დაევალოს მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების ჩატარებისათვის, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება შეათანხმოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“, ასევე მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვისათვის აუცილებელი სხვა პროცედურების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

3. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლო, მაგისტრატი სასამართლო დუშეთის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ქ. დუშეთი, კოსტავას N38.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

/ვ. ჩოხელი/

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163535136016

 # 1673

03 / ივნისი / **2016** წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 30 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის SMP160001514 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ პავლეურში ხევზე წყალგამტარი მილის მოწყობის, სოფელ ანანურსა და ციხისძირში სტიქიის მიერ ჩამოტანილი მასის გატანისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების (CPV-71300000 - საინჟინრო მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 14 მაისს უხვმა ნალექმა დააზიანა სოფლების შიდა გზები, ასევე ძლიერი წვიმების გამო ხევები ჩაიკეტა რაც საშიშროებას უქმნის ადგილობრივ მცხოვრებლებს, ღვარცოფისაგან ჩამოტანილმა მიწამ ჩაკეტა სამანქანო გზა. ჩაკეტილ ხევში ყოველდღიური წყლის მატება იწვევს გზის ნაპირის ჩამოშლას. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. აღნიშნული მდგომარეობის ოპერატიულად მოუგვარებლობისა და სამუშაოს ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში, დროის ფაქტორიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა მიყენებული ზიანი გაიზარდოს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვაშია მითითებული, შემსყიდველ ორგანიზაცია წინასწარ ვერ

განსაზღვრავდა ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობას. ამასთან, შექმნილი ვითარება შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის SMP160001514 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე